საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 58
23/02/2017

58-06-3-201702231822

ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (შემდგომში კომისია) წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმომქმედ ორგანოს, იგი შეიქმნა 2014 წლის 2 აგვისტოს და მისი შემადგენლობა განისაზღვრა 7 წევრით. საანგარიშო პერიოდში კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განახორციელა ცვლილება და კომისიის წევრი მანჯგალაძე ჩაანაცვლა ქათამიძით, სხვა ცვლილებას ადგილი არ ქონია.

ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შექმნილია 2 სამუშაო ჯგუფი:

1. სამანდატო და საპრიცედურო საკითხთა სამუშაო ჯგუფი;
2. საკადრო პოლიტიკის და ეთიკის სამუშაო ჯგუფი;

აღნიშნულ ჯგუფებს ხელმძღვანელობენ დეპუტატები გ. კილაძე და თ. ბურჭულაძე

2016 წლის განმავლობაში კომისია თავის მუშაობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი

თვითმმართველობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, კომისიის დებულებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მომზადებული და ჩატარებული იქნა 7 სხდომა. სადაც განხილული იქნა 11 საკითხი. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, ხდებოდა აზრთა გაზიარებითა და მაქსიმალური ჩართულობით ცალკეულ შემთხვევაში მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საბოლოო ჯამში მაინც ვახერხებდით კონსენსუსის მიღწევას.

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებზე. მომზადებული იქნა 9 დასკვნა.

რომ არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ მშრალი ციფრებით, ან პირიქით არ მოვახდინოთ განხილული საკითხების ჩამოთვლა მინდა გითხრათ, რომ 2016 წლის განმავლობაში კომისიის მიერ განხილული იქნა მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები: ფრაქციათა გაუქმების, შემადგენლობიდან წევრის გასვლის, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და ვადამდე შეწყვეტის, ფრაქციის სახელის შეცვლის, თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი პირების არჩევასა და გადადგომასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის, გარე რეკლამის განთავსების ნებართვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღებისა და 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე.

მოსმენილ იქნა ანგარიში მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიამ გაიზიარა და ერთხმად დაუჭირა მხარი ,,C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირთა განურჩევლად დაფინანსებას მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა.

კომისიის მიერ დაწესებული იყო კონტროლი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

კომისია სისტემატიურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებებისა და პროექტების განხილვას. უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს. ყოველთვიურად აბარებდა ანგარიშს, რომელის საჯაროვდებოდა და დაინტერესებულ პირებს აძლევდა შესაძლებლობას ეთანამშრომლა ნებისმიერ საკითხზე.

კომისიამ მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა 2017 წლის სამუშაო გეგმა, რაც იმედს იძლევა იმისა, რომ მიმდინარე წელში მისი მუშაობა უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება.

ეროდი გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია